№ 218 ოქტომბერი 10, პარასკევი 1886 ოქტომბერი 10 პარასკევი **№ 218**

ივერია

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	7 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტგრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

ამ ნომერში ექვსი გვერდია

გაზეთი „ივერია“ 1-ლის ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.

ტფილისი, 9 ოქტომბერი

ეხლანდელს მოქმედს კანონებში ერთი დიდი ნაკლი არის, რომელიც თვით მთავრობის მიერ შენიშნულია. ამ კანონებში თითქმის მოხსენებული არ არის-რა ნივთიერი გადასახადი უნდა ეზღვევინოს მუშის დამჭერს თუ ვინიცობაა მისის გაუფთხილებლობით და წინ-დაუხედავობით ან მუშა დაშავდა, ან სიკვდილით უბედურება შეემთხვა. მუშა, რომელზედაც ბევრს შემთხვევაში დამოკიდებულია სიცოცხლე და ბედნიერება მთელის მისის ოჯახისა, მუშა, ურომლისოდაც მთელი ოჯახი ხშირად ცის ანაბარად უნდა დარჩეს და შიმშილით ამოწყდეს, გამოკლებულია იმედსა და ნუგეშსა კანონის-მიერ. აი თუნდა ერთი იმისთანა უბედურება, აიღეთ, რომელიც ბ-ნ კავალენკოს შენობაზედ მოხდა ამ ბოლოს ხანებში და რომლის გამო საქმე სასამართლოდ გახდა და ექვს ღვინობის თთვეს გათავდა ტფილისის 1-ს ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის-მიერ, ამ შენობაზედ მუშაობის დროს კედელი გადმოქცეულა, ორი მუშა დაუტანია, და ამ ორში ერთი მუშა ოჭანეზოვი მომკვდარა. სასჯელი რასაკვირველია, არ ასცდებათ იმათ, ვისის გაუფრთხილებლობით და წინ-დაუხედავობით მოხდა ეს უბედურება და სასჯელთა კანონების 1,468 მუხლში განსაზღვრულიც არის ზომა სასჯელისა. ხოლო ამ შემთხვევაში კანონი არას ამბობს იმის თაობაზედ თუ—რაოდენი ნივთიერი გადასახადი უნდა ეზღვევინოს დამნაშავესა სასარგებლოდ დაზიანებულის მუშის ოჯახისა, თუ ვინიცობაა ოჯახმა ეს მოითხოვა.

არც კი ის არის კანონში გარკვევით მოხსენებული, რომ დამნაშავე პატრონი ვალდებულია, სასჯელს გარდა, ნივთიერადაც რაიმე პასუხის გება გასწიოს სასარგებლოდ იმ ოჯახისა, რომელსაც ინახავდა დაზიანებული მუშა.

ეს ნაკლი, როგორც ზემოდ ვსთქვით, უკვე შეჰნიშნა თვით უმაღლესმა მთავრობამაც და დიდი ხანია ცალკე კამმისია შეადგინა. ამ კამმისიას დაავალა მთავრობამ კანონ-პროექტი შეადგინოს იმის თაობაზედ თუ—რა ნივთიერი პასუხის-გება უნდა მოეთხოვოს მუშის დამჭერსა, თუ ვინიცობაა მის საქმეზედ მუშას უბედურება შეემთხვევა ან დაშავებით, ან სიკვდილით. ეხლა გაზეთები გვაუწყებენ, რომ ამ კამმისიას უკვე შეუმზადებია ამ საგანზედ კანონ-პროექტი და ეს კანონ-პროექტი მალე წარსდგებაო სახელმწიფო საბჭოში განსაჩხრეკად.

უმთავრესნი საფუძველნი, რომელთზედაც აშენებულია იგი კანონ-პროექტი, აი რაში მდგომარეობენ. მფლობელნი ფაბრიკებისა, ქარხნებისა, მადნების სამუშაოებისანი, აგრეთვე შენობების რისამე მკეთებელნი, მოვალენი არიან საზღაური გადუხადონ ყოველს, ვინც კი დაზიანდება ან სიკვდილით, ან რაიმე ასოს დაშავებით და წახდენით მუშაობის დროს, თუ ვინიცობაა ერთ ერთი ამ გვარი უბედურება შემდეგის მიზეზით მოხდა: 1) თუ მაშინა, ორთქლის ქვაბი და სხვა სამუშავო იარაღნი რიგიანად არ იყვნენ გამართულნი, თუ საფრთხილო სამუშავოზე, რაიმე წამლების ხმარებაზე ყოველივე ღონის-ძიება არ იყო მიღებული, რომ მუშას არა ევნოს-რა; თუ გასაფრთხილებელნი ღონისძიებანი არ იყვნენ წინასწარ ხმარებულნი იმისთანა საქმეში, რომელიც ჯან-მრთელობისათვის მავნებელია. 2) თუ მუშაობის ზედამხედველად და გამგებლად დაყენებულის კაცის გულ-დაუდებლობის და გამოუცდელობის გამო მოხდა რაიმე უბედურება, ან იმისთანა ბძანება მიუცია მუშისათვის, რომლის აღსრულებაც საგანსაცდელოა და საშიშარი.

აი მიზეზნი, რომელთ გამოც დამნაშავე ვერ წაუვა ნივთიერად პასუხის-გებას სასარგებლოდ დაზიანებულისა. რა სახით და რა ზომით უნდა იქმნას ეს პასუხის-გება—ყოველივე ეს კეთილ-ნებობით თანხმობაზეა მიგდებული იმ პირობით კი, რომ ეს თანხმობა უნდა იქმნას ქაღალდით, ჯეროვანად დამტკიცებულითა და თუ ქაღალდი არ არის, მაშინ საზღაური სამართალმა უნდა დანიშნოს ან ისე რომ ყოველ წლივ ეძლეოდეს პენსიასავით დაზიანებულს პირსა, ანუ მის ოჯახსა რასაც სამართალი დანიშნავს ან კიდევ ერთხანად და ერთბაშად გადაეწყვიტოს სრული საზღაური.

ჩვენის ფიქრით, დიდი ნაკლია, რომ კამმისიას დაუდგენია სახე საზღაურისა და ზომა კი არ გამოურკვევია. კანონი იგია კარგი, რაც ნაკლებ საგანს დასტოვებს სადავოდა. თქმა არ უნდა, რომ დიდი გამარტივება იქნებოდა კანონისა, თუ ზომაც საზღაურისა წინადვე იქნება განსაზღვრული, რომ ამაზედ არავითარი დავი-დარაბაარ ატყდეს ბოლოს. განუსაზღვრელობა ამ შემთხვევაში თვით სამართალსაც შეაფერხებს და მოდავეებსაც გაუძნელებს საქმის წარმოებასა. წინად ყოფილმა კამმისიამ ეს ნაკლი მოაშორა კანონსა და არ ვიცით ახალ კანონ-პროექტში რატომ არ იქმნა შეტანილი. ამავე საგანზედ წინად-ყოფილმა ძველმა კამმისიამ აი რა მოისაზრა და დაადგინა. თუ მუშას, დაზიანებულს სიკვდილითა, ცოლი დაჰრჩებოდა დამნაშავეს უნდა ეძლია ქვრივისათვის ყოველ-წლივ იმისი ნახევარი, რასაც თვითონ მუშა ჯამაგირს, ანუ სასყიდელს იღებდა წლის ანგარიშზედ და თუ ქვრივი გათხოვდებოდა, ეს საზღაური უნდა მოსპობოდა. თუ მუშას წვრილ-შვილნი დარჩებოდნენ 15 წლისაზე ნაკლებ ასაკისანი და ერთ-ერთი მშობელი ეყოლებოდათ, მაშინ თვითოს ყოველ წლივ უნდა მისცემოდა $16\frac{2}{3}\%$ და 25% თუ სრულად ობოლნი იქნებოდნენ. ამასთან ყველასათვის დანიშნული ყოველ წლიური საზღაური ერთობლივ არ უნდა აღმატებიყო სამს მეოთხედს იმისას, რაც დაზიანებულის მუშის წლიურს გამორჩომას შეადგენდა.

თქმა არ უნდა, რომ ამ რიგად გამორკვეული საზღაური დიდს შეღავათს მისცემდა თვით სამართალსაც, რომელიც აღარ შეჰფერხდებოდა იმის გამოძიებითა თუ—რაოდენი საზღაური უნდა დაენიშნოს და თვითონ მოდავეებსაც აღარ მისცემდა მიზეზს წვრილმანს დართულს საბუთებს საზღაურის რაოდენობისას გამოსდგომოდნენ და ზედ შეღევოდნენ. ამ შემთხვევაში საკმაო იქნებოდა მოდავეს წარედგინა საბუთი მარტო ერთის საგნის დასამტკიცებლად, სახელდობრ, იმისი, თუ—რაოდენს ჰშოულობდა დაზიანებული მუშა წელიწადში თავისის მარჯვენითა. ამისი საბუთი ადვილი საშოვარია და სამართალს მარტო გათვლა-გამოთვლის ანგარიში-ღა მოუნდებოდა და საქმეს სწრაფად მოეღებოდა ბოლო. სისწრაფე სამართლისა ნამეტანად იმისთანა საქმეში, საცა ულუკმა-პუროდ დაშთენილია მოდავე, ერთი უდიდესი ღირსებაა სამართლისა.

ახალი ამბავი

⁂ ამ დღეებში დაიბეჭდა ფრიად საყურადღებო წიგნი ტფილისის გუბერნიის სასტატისტიკო კომიტეტისა (Труды Тифлисскаго Губернскаго Статистическаго Комитета). ამ წიგნში შეკრებილია ბევრი ფრიად ძვირფასი სასტატისტიკო ცნობა. ცნობანი კომიტეტს მიუღია ბბ-ნთ მაზრის უფროსთაგან 1884 და 1885 წელთ განმავლობაში. წიგნი საკმაოდ მოზრდილია და შიგ ორი რუკაა ჩართული: ტფილისის მაზრისა და ბორჩალოსი.

⁂ ქართლში რთველი გათავებულა. მოსავალს ღვინისას ძალიან

ფელეტონი

შარდენი საქართველოში

(შემდეგი*)

VIII

ქართველებსა ჰყავთ რამდენიმე ეპისკოპოზი, ერთი მთავარ-ეპისკოპოზი და ერთიც პატრიარხი, რომელსაც კათოლიკოზს უწოდებენ. თუმცა მეფე სარწმუნოებით მაჰმადიანია, მაინც აკურთხებინებს ხოლმე ეპისკოპოზებს, როცა ადგილები იცლება, და ამ თანამდებობას თავის ნათესავებს აძლევს. პატრიარხადაც მისივე ძმა არის. მებატონეებსაც ამ გვარივე უფლება აქვსთ თავ-თავიანთ მამულებში; ისინი არამც თუ ვისაც ჰსურთ, იმას აძლევენ მრევლს, არამედ ნება აქვსთ სამღვდელო კაცი დაატუსაღონ და თუ ჰნებავთ, სცემონ კიდეცა, ისე, როგორც დანარჩენ თავიანთ ყმებსა. სამღვდელოებაც სხვებსავით იხდის ყოველ გვარ საბატონო გარდასახადს. მებატონენი სამღვდელოებასაც ართმევენ შვილებს, თუ დაისაჭიროვეს რისთვისმე. მებატონეებს შეუძლიანთ წაართვან თავიანთ ყმებსა შვილები და მიჰყიდონ მაჰმადიანებს.

საქართველოში ეკკლესიები ცოტა უფრო კარგად არიან მოვლილნი, ვიდრე სამეგრელოში. ქალაქებში საკმაოდ სუფთა ეკკლესიებია, სოფლებში კი—ძრიელ უსუფთაოდ აქვთ მოვლილი. ქართველებს და აგრეთვე სხვა ქრისტიანებს, რომელნიც საქართველოს ჩრდილოეთითა და დასავლეთით სცხოვრობენ, ერთი უცნაური ჩვეულება აქვსთ: თავიანთ ეკკლესიებს აშენებენ უმეტესს ნაწილად მთის წვერებზედ, განშორებულ და თითქმის მიუდგომელ ადგილას. ოთხსა და ხუთს ეჯზედ მოჩანან ეკკლესიები, ამ სიშორედამ სცემენ თაყვანს და თვით ეკკლესიის კარს-კი თითქმის არასოდეს არ აღიან; შეიძლება დაბეჯითებითა ვსთქვათ, რომ უმეტესს ნაწილს ეკკლესიებისას ათ წელიწადში ერთხელაც ძლივს გააღებენ ხოლმე. ააშენებენ-კი ეკკლესიებს და მერე მიანებებენ ხოლმე თავს და ფრინველებისა და ჰაერის ზედ-მოქმედების ანაბარად გახდიან ხოლმე. ვერას გზით ვერ გავიგე მიზეზი ამ უცნაურის ჩვეულებისა. ყველა, ვისაც ვკითხავდი რასმე ამაზედ, ერთსა და იმავე პასუხს იძლეოდა: ასეთი ჩვეულება გვაქვსო. ქართველები დარწმუნებულნი არიან, რომ რა ცოდვაც უნდა მოიქმედონ, შეენდობათ, თუ ეკკლესიას ააშენებენ. მე ჩემის მხრით ვფიქრობ, რომ ეკკლესიებს იმისთვის აშენებენ ქართველები მიუდგომელსა და უალაგოალაგას, რომ მისი შემკობა და მოვლა არ მოუნდეთ. ქართველების დიდი წმინდანი წმიდა გიორგი არის. წმიდა გიორგი კაპადოკიელი იყო, ასურელის პატრიარხის შვილი და დიოკლიტიანეს დროს იქმნა წამებული. მაჰმადიანნი ქრისტიანებზედ არა ნაკლებ პატივსა სცემენ ამ წმინდანს.

ქართველთ კეთილშობილნი გარეგნობით უმეტესს ნაწილად მაჰმადიანნი არიან. ეს სარწმუნოება ზოგს იმისთვის მიუღია, რომ მეფის კარს ადგილი ეშოვნა და სახელმწიფო ჯამაგირი ჰქონოდა, ზოგს იმისთვის, რომ თავიაანთი ქალები მეფისთვის მიეთხოვებინათ და ან მეფის ცოლებისათვის მაინც მიეცათ სამეფო კარის ქალებად. ზოგი ისეთი სძაგელნი კეთილშობილნიც არიან, რომ თავიანთი ლამაზი ქალები თვითონვე მიჰყავთ მეფესთან. ამ გვარ პატივისცემისთვის, იმათ ან ულუფას უნიშნავენ, ან სამსახურში იღებენ. მხოლოდ ამისათვის საჭირო კია, რომ წინადვე უნდა მიიღონ ხოლმე მაჰმადიანობა. ულუფა ხარისხისა და ღირსების შესაბამათ დაენიშნებათ ხოლმე, თუმცა, საზოგადოდ, ორი-ათას ეკიუზედ მეტი კი არავის არ ეძლევა. ამ გვარ ჩვეულებისა გამო ტფილისში ჩემს იქ ყოფნის დროს ერთი ძრიელ საცოდავი ამბავი მოხდა. ერთმა ქართველმა კეთილშობილმა აცნობა მეფეს, რომ ძრიელ მშვენიერი დისწული მყავსო. მისმა უმაღლესობამ მაშინვე ბრძანა მიეყვანათ მასთან ის ქალი. ბოროტმა ბიძამ თვითონვე წაიღო ბრძანება მეფისა და იკისრა კიდეც, მაგ საქმეს მე შევასრულებო. მივიდა თავის ქვრივ დასთან და უთხრა: შენი ქალი მეფესა ჰსურს შეირთოს და შენ უნდა დაიყოლიო როგორმე ამაზეო. დედამ აცნობა ეს ამბავი თავის საწყალ ქალს. ქალი სასო-წარკვეთილებაში ჩავარდა: იმას უყვარდა თავისი მეზობელი, ერთი ახალგაზდა კეთილშობილთაგანი და ამ ახალგაზდასაც ძრიელ უყვარდა ეს ქალი. დედამ კარგად იცოდა ეს, და განიზრახა ეცნობებინა მისთვის თავიანთი უბედურება. გაგზავნა მსახური და აცნობა ყოველივე. ახალგაზდა მაშინვე მივიდა იმათთან. დედა-შვილი კარ-ჩაკეტილში ისხდნენ და ცხარის ცრემლით სტიროდნენ თავიაანთ შავს ბედსა. ყმაწვილმა კაცმა დაიჩოქა მათ წინაშე და უთხრა: მე ყველაზედ მეტად ჩემის სატრფოსათვის ვსწუხვარ და მეფის წყრომა-კი არაფრად არ მიმაჩნიაო; ერთი საშველი-ღა აქვს ამ საქმესაო: ეხლავე უნდა ვიქორწინოთ და ხვალ განუცხადოთ იმ თქვენ მუხთალ ნათესავს, რომ ქალი, რომელსაც ის მეფისთვის ითხოვს, უკვე გათხოვი-

---

*) იხ. „ივერია“ № 207.

თურმე უჩივიან ყველგან. ერთმა მემამულემ შემოგვჩივლა, რომ ორასი კოკა ღვინო მომდიოდა ხოლმე და წელს ძლივს 80 კოკა მომიგროვდაო.

⁂ გუშინწინ, 8 ოქტომბერს, საღამოს 7½ საათზედ ჰქონდა კიდევ კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას. კრებაზედ წევრთ განიხილეს სამეურნეო გამოფენის გამართვის საქმე ტფილისში. ამ ბოლოს დროს ჩვენი სამეურნეო საზოგადოება ძალიან მხნედ შეუდგა თავის საქმეს: კრებას-კრებაზედ ჰმართავს, საგანი ერთი-ერთმანეთზედ საყურადღებო და სასარგებლო ბლობად უჩნდება განსასჯელადა და განსახილველად. სამეურნეო საზოგადოებამ წელს სრულიად მოაწყო საქმე ბაღოსნობის სკოლისა, ჰფიქრობს წველა-დღვების სკოლის გამართვასაცა და ახლა კიდევ იმის ზრუნვაშია, რომ ტფილისში გამართოს სამეურნეო გამოფენა.

⁂ ამ დღეებში ბათუმში გაუმართავთ ჰიდაობა ბათუმის სკოლის სასარგებლოდ. ჰიდაობიდამ შემოსულა სულ 63 მან., რომელიც გაეგზავნა ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას, რომელიც განაგებს ბათუმის სკოლასაო.

⁂ უწინ ჩვენს ქვეყანაში ყოფილა გავრცელებული ზეთის ხილის ხე. ვორონცოვის დროს მთელი ჰალები ყოფილა საქართველოში ზეთის ხილისა. ვორონცოვი ამ საგანს დიდს ყურადღებას აქცევდა. გაზეთი „კავკაზი“ ამბობს ამის გამო, რომ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, კავკასიაში ძალიან ადვილად იხეირებს ეს სასარგებლო ხეო, მაგრამ გვიკვირს, რომ არც ერთი მემამულე არა სცდილობს, ახეიროს თავის მამულში ზეთის ხილიო. ჩვენ ჩვენის მხრით უნდა ვსთქვათ, რომ ზეთის ხილი ამ ჟამადაც არის კახეთში ზოგიერთს ალაგას. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ ზეთის ხილი არის სოფ. კარდანეხში თ. აფხაზის მამულში, არის აგრეთვე ეგრედ-წოდებულს ბერების ტყეში და იმ ვენახშიაც, რომელიც ამას წინად შერემეტიევმა იყიდა თ. აფხაზისაგან. ამ სოფელში ზეთის ხილი მშვენივრად არის ნახარები და კარგსა და მსხვილს ნაყოფსაც იძლევა.

⁂ გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, იმ სეირნობიდამ, რომელიც ალექსანდრეს ბაღში იყო გამართული კვირას, 6 ოქტომბერს,. წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ, ნაღდი შემოსავალი 1,242 მან. და 60 კაპ. ყოფილა.

⁂ ქალაქის გამგეობის განკარგულებით, ციციანოვის აღმართზე 6 ფარანი დაუდგამთ და ამ ახლო ხანებში 60 ფარანს კიდევ ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილებში დასდგამენო.

⁂ ახალ-ქალაქის მაზრიდამა სწერენ გაზ. „ნოვ. ობოზ.“: ამას წინად ყარზახის სოფლის საზოგადოებას ოცი ძირი პური დაუწვესო და ამის გამო 1,000 მანათამდე ზარალი მოუვიდათ ამ სოფლის მცხოვრებლებსაო.

⁂ იქიდამვე მოუწერიათ: 29 სექტემბერს სოფ. ჩხორულში რამდენიმე ავაზაკი დაატუსაღეს. ეს ავაზაკები თავს დასხმია, ამ სოფლის მცხოვრებელს ავაქა სააქოვს, რამდენსამე ალაგას მძიმეთ დაუჭრიათ და ჯიბიდამ 100 მანათი ამოუცლიათო.

შეცდომის გასწორება: გუშინდელ 217 №-ში უკანასკნელს გვერდზე პეტერბურგის ბირჟის ფურცელში შეცდომით იყო ნაჩვენები ფასი ტამოჟნის კუპონებისა 176¼, უნდა იყოს 167¾.

* * *

ნაკვესი

კინაღამ «პროტოკოლი» არ შესდგა „სამსახურის დროს შეურაცხ-ყოფაზედ“.

ცხინვალში მომრიგებელ-მოსამართლესთან ერთმა ქვრივმა გლეხის დედა-კაცმა ასე დაიწყო თავისი საჩივარი: „როცა ჩემი უბედური ქმარი გარდაიცვალა“...

ამ დროს მოსამართლეს ცხვირს დააცემინა. დედა-კაცი მივარდა და ჩვენებურად ყურზედ ხელი მოჰკიდა და აუწია: „შენ კი ჯვარი გეწეროს, ბატონო სუდიაო“!

კრი-კრი

წველა-დღვების სკოლა საქართველოში.

გუშინწინ სამშაბათს, 7 ოქტომბერს, იყო საერთო ყრილობა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა. ამ კრებაზე წაიკითხეს ფრიად საინტერესო მოხსენება ბ-ნის ქალანთარისა წველა-დღვების სკოლის თაობაზე კავკასიაში. ბ-ნს ქალანთარს კარგად შეუსწავლია საგანი თავის მოხსენებისა, დიდი ცოდნა აქვს საზოგადოდ საქონლის ყოლისა და მოვლის თაობაზედ, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული. ბევრი უვლია კავკასიაში და ყველგან, საცა-კი ფარა და ჯოგი საქონლისა ჰყოლიათ, ყველგან დაჰკვირვებია წველა-დღვების საქმესა. წველა-დღვება ჩვენს ქვეყანაში არის როგორც ბარში, ისე მთაში, მაგრამ ბარში წველა ისეთი დიდი არ არის რომ საეკონომიო და სამრეწველო აზრი ჰქონდეს. მაშასადამე ამ ჟამად ლაპარაკი შეიძლება იმ წველაზედ, რომელიც მთაში არის. ჩვეულებრივ ასეა ჩვენში, რომ უფრო თხა-მცხვრის რძე და ამ რძისაგან გაკეთებული სანოვაგე გადის ბაზირში, ხოლო ძროხის რძე უფრო სახლშივე იხმარება. მაგრამ უნდა ისიცა ვსთქვათ, რომ კავკასიაში ისეთი ალაგებიც არის, საცა სრულიად უკუღმა ხდება: თხა-მცხვრის წველა სახლში იხმარება და ძროხისა კი ბაზარში გადის.

თხა-მცხვრის რძისაგან უფრო ყველს აკეთებენ, ხოლო ძროხის რძისაგან— ერბოს. საზოგადოდ კი ასეთი წესია: როცა რძე ბევრია, ყველს იღებენ, როცა ცოტა—კარაქსა, რომელსაც მერე ერბოთ გადაადნობენ ხოლმე. ჩვენს ქვეყანაში უფრო გავრცელებულია თხა-მცხვრის ყოლა, იმიტომ, რომ თხა-მცხვარს უფრო ხელს უწყობს მთის საბალახოები, თხა-მცხვარი უფრო ადვილი გადასარეკია ერთის ალაგიდამ მეორეზე ზამთარ-ზაფხულ, უფრო ნაკლებ ეტანება სხვა-და-სხვა ჭირი და დიდი თივა არ უნდა საზამთროდ; ამას გარდა კიდევ თხა-მცხვრის ყოლა უფრო სარფაა, ამიტომ რომ გვაძლევს რძეს, ხორცს, დუმას, მატყლს და ბატკანს. ჩვენებურის წველა-დღვებისაგან 10-დე სხვა-და-სხვა სანოვაგე მზადდება—რძე, ნაღები, კარაქი, ერბო, აჭარული კაიმაჩი, ყველები (14 გვარისა), მოთალი და სხვ.

მაგრამ თუ ორიოდე მაგალითს სახეში არ მივიღებთ, ჩვენში ყველი ძალიან დაბალის ღირსებისაა (უსუფთაო, მჟლე, მშრალი და სხვ)— ჩვენის ქვეყნის ბაზარზე გასავალი აქვს მხოლოდ განსაკუთრებით ჩვენებურსავე ყველსა და ისე ცოტასაც აკეთებენ, რომ ძლივსა ჰყოფნის ქვეყანას ადგილობრივის საჭიროებისათვის. საქმე-კი რომ კარგად სწარმოებდეს და კარგად იყოს დაყენებული, შეიძლებოდა რძისაგან გაკეთებული სანოვაგე ჩვენის ქვეყნის გარეშე მაზრებშიაც გასულიყო და დიდი სარგებლობა მიეცა მკვიდრთათვის, რადგან კავკასიის რძე საზოგადოდ დიდის ღირსებისა და კარგის თვისების რძეა.

აი ყველა ამ ზემოხსენებულის მიზეზით ბ-ნი ქალანთარი იმ აზრისაა, რომ ყოვლად საჭიროა ამ ჟამად გაიმართოს ჩვენს ქვეყანაში სამუდამო სკოლა წველა-დღვებისა, დაიმართოს ამ გვარივე, ერთის ადგილიდამ მეორე ადგილას ადვილად გადასატანი სკოლებიო და საჭიროა წახალისებული იქმნას ყველა, ვინც-კი წველა-დღვების საქმეს შეუდგებაო. ნიმუშად, ჩემის აზრითაო, სთქვა ბ-ნმა ქალანთარმა, უნდა მივიღოთ ედიმონოვის სკოლა წველა-დღვებისა, რომელიც გამართა ბ ნმა ვერეშჩაგინმა ტვერის გუბერნიაშიო.

ამ სკოლისა პირველი ის არის, რომ სრულიად პრაქტიკული ხასიათი აქვს: ყოველ-გვარს საქმეს თვით მოსწავლენი აკეთებენ, მწველელ საქონელსაც კი ისინი უვლიან და ასე გასინჯეთ თვითონვე შეახვევენ ხოლმე უკვე მომზადებულს სანოვაგეს, გააკეთებენ ყუთებში და ჰგზავნიან აქეთ-იქით, ისე რომ სკოლაში მხოლოდ ერთი კაცია მოსამსახურედ. რაიცა შეეხება თვით ამ საქმის შესწავლას წიგნებითა, თეორიულად, ამაზე მხოლოდ ამ ბოლოს დროს მიაქციეს ყურადღება. რაკი საქმე სკოლისა ასე მოაწყეს, ნაყოფიც ძალიან კარგი მოიტანა. ეხლახანს ამ სკოლამ გამართა ერთი ალაგიდამ მეორე ალაგას ადვილად გადასატანი სკოლები წველა დღვებისა. ეს სკოლები გადააქვთ ერთის ადგილიდამ მეორესა და ავრცელებენ რუსეთში გონივრულს წესებს ყველის ამოყვანებისას, დღვებისასა და ერბო-კარაქის კეთებისასა. ეს სკოლები უკვე გადაჰქონ-გადმოჰქონდათ ვოლოგდისა, კურსკისა, და ზოგიერთს სხვა გუბერნიებში, საცა მათის წყალობით ცოტად-თუ ბევრად განკარგდა და გაკეთდა გლეხებში წველა-დღვების საქმე. აქეთ-იქით ადვილად გადასატანი სკოლა ჩვენშიც შეიძლება გაჩნდესო. ბ-ნის ქალანთარის აზრით, ამ სკოლასაც სწორედ ისეთივე პრაქტიკული ხასიათი-კი უნდა ჰქონდესო და მთავრობამ უნდა ცოტა-ოდნად ხელი შეუწყოსო. ამ სკოლასთან უნდა იყოს გამართული ესრედ-წოდებული ფერმა და ამ ფერმაზედ უნდა მუშაობდნენ შეგირდები, რათა თვალ და თვალ, თვით საქმით ეჩვეოდნენ მწველელის საქონლის გონივრულს მოვლასა და წველა-დღვების წესებსა. ასეთი ფერმა მით უმეტეს საჭიროა, რომ არსად არ არის ჩვენში სამაგალითოდ დაყენებული ეს საქმე. აქ ამ გვარს ფერმაზე ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული არა მარტო ძროხების წველა-დღვებასა, არამედ თხა-მცხვრის წველასაცა, იმიტომ რომ თხა-მცხვრის ყოლა, ჩვენის ქვეყნის ჰავისა, ადგილმდებარეობისა და ეკონომიურის მიზეზების გამო, საკმაოდ არის გავრცელებული. სკოლისთვის შესაფერი ადგილი უნდა იყოს ამორჩეული: სათივე ადგილები უნდა ჰქონდეს, კარგი საბოვარი და იალალი, კარგი გზები ბაზრისაკენ მიმავალი და სხვანი და სხვანი. ჩვენში ჯერ-ჯერობით კარგად არ არის შესწავლილი საქონლის ჯოგისა და თხა-მცხვრის ფარათა ყოლისა და რაოდენობის საქმე. ამიტომ, პირდაპირ ყველის ამოყვანებისა და კეთებით რომ იქმნას დაწყობილი საქმე, ვაი თუ პირველადვე მარცხი მოუვიდეს სკოლას და ცუდად იმოქმედოს იმის სამერმისო ბედზე. ამ მიზეზის გამო, ჩემის აზრითაო, სთქვა ბ-ნმა ავტორმა მოხსენებისამ,—პირველის ორის წლის განმავლობაში საჭიროა ყურადღება მივაქციოთ კარაქისა და ერბოს მზადებასაო, ხოლო ყველი ვაკეთოთ სხვათა-შორისაო და ისიც პატარ-პატარა კვერეულებადაო, იმ გვარი, როგორიც არის, მაგალითად, ჩესტერი, ჰოლანდიის ყველი, ბაქშტეინი და სხ., უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რომ ადგილობრივის ყველის თვისება განკარგდესო. როცა ასე ნელ-ნელა შე-

---

ლიაო. ასე გადასწყვიტეს და ასეც მოიქცნენ. ყმაწვილი ქალი დაამშვიდეს როგორც იყო და ჯვარი დასწერეს. ბიძამ გაუგო ეს ეშმაკობა და აცნობა მეფეს. მეფე განრისხდა და მკაცრადა ბრძანა მიეყვანათ მის კარს დედა და ახალი ჯვარ-დაწერილნი; მაგრამ დაქორწინებულნი მიიმალნენ და მთელი ერთი თთვე აქა-იქ ეფარებოდნენ. ბოლოს, როცა მიაგნეს იმათ კვალს და ველარსადაც ვერ დაიმალნენ, გაიქცნენ ახალციხეს, სადაც ფაშამ თავის მფარველობის ქვეშ მიიღო დევნილნი.

ამისთანა შემთხვევებისა ეშინიანთ საქართველოში და ამისთვის სცდილობენ, ვისაც ლამაზი ქალები ჰყავს, რაც შეიძლება ადრე, ყმაწვილობითვე გაათხოვონ ხოლმე. მეტადრე ღარიბი ხალხი ადრე ათხოვებს თავის ქალებს და ხან-დის-ხან აკვანშივე დაჰნიშნავს ხოლმე. ამას იმიტომა სჩადიან, რომ მებატონეებმა არ მოსტაცონ გასასყიდად. თუ ქალი, რაც უნდა პატარა იყოს, გათხოვილია, ან დანიშნული, მებატონეები მოკრძალებით იქცევიან და ადვილად ალარა ჰბედავენ მოაშორონ ხოლმე ასეთი ქალი თავის ოჯახს.

კახეთის სამეფო ეხლა სპარსეთის მეფეს ემორჩილება. შაჰნავაზ-ხანმა დაიმორჩილა ეს სამეფო. მისი შვილი არჩილი არის იქ მეფის მოადგილედ. არჩილს მაჰმადიანობა იმიტომ მიუღია, რომ სამეფო დაეჭიროვო. არჩილს უყვარდა იმერეთის მეფის ქვრივი ნესტან-დარეჯანი. ეს ქალი ტყვედ იყო ახალციხეში. ფაშა დიდის პატივით ეპყრობოდა ამ ქალს. არჩილის მამა ძრიელ სცდილობდა გაენთავისუფლებინა ქალი და საჩუქარს-საჩუქარზედ უგზავნიდა ფაშას. ფაშამ 1660 წელს გაანთავისუფლა ნესტან-დარეჯანი. დიდის ამბით მოიყვანეს იგი ტფილისში და არჩილმა მაშინვე ჯვარი დაიწერა ნესტან-დარეჯანზედ. ამ ქორწინებით არჩილმა შეიძინა კახეთის სამეფო, სადაც უკვე მეფის მოადგილეთ იყო; შეიძინა იმიტომ — რომ ნესტან-დარეჯანი იყო ქალი თეიმურაზ-ხანისა და და ირაკლისა. არჩილს ამის გამო ერთი საყურადღებო საქმე შეემთხვა. არჩილი სიყმაწვილითვე დანიშნული იყო ერთ ქართველთ პირველ თავადიშვილის ქალზედ. ქალს დიდი იმედი ჰქონდა, რომ მალე არჩილის ცოლი შევიქმნებიო; იმედი ჰქონდა უფრო იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ძნელად თუ დაარღვევს ვინმე ქორწინების პირობასა. როდესაც გაიგო ქალმა, რომ არჩილმა ნესტან დარეჯანი შეირთოო, გაუგზავნა კაცი და შეუთვალა, რად შეურაცხ-ჰყავ ჩემი სახელიო. ქალსა ჰსურდა სასამართლოსათვის მიემართა, მაგრამ ამ გზით ვერას გახდებოდა, რადგან მოწინააღმდეგე დიდის ხარისხისა და გავლენის პატრონი იყო. ქალმა მიმართა კიდეც სასამართლოს და რაკი მართლა ამ გზით ვერა გააწყო-რა, მიუძლვა ოთხასს შეიარაღებულ კაცს და საომრად გამოითხოვა მოღალატე. არჩილმა უარი სთქვა. ასე შემოუთვალა: არა მსურს ქალთან ბრძოლაო და მართლა ნურც აგრე გამოიდებ თავსა, თორემ გაგამჟღავნებ, რომ სიზი (მეფის კარის თავადი) კვეხულობდა, ვითომ შენ იმას მოწყალის თვალით უყურებდიო. ქალი უფრო განრისხდა, როცა ასეთი ცილიც დასწამეს და ახლა სიზის გადაეკიდა. ქალმა გამოითხოვა სიზი ხმალში, მაგრამ თავადიშვილმა უარი სთქვა. მაშინ ქალი ადგა და ჩაესაფრა იმას ერთ ალაგას, გააქცია, გამოუდგა და ოც კაცზედ მეტი მოუკლა. ქალს ძმა ჰყვანდა და დის მაგივრად ახლა იმან დაუწყო დევნა სიზის. მეფე და მთლად კარის კაცნი ათას ნაირად სცდილობდნენ შეერთებინათ მტრად გადაკიდებულნი, მაგრამ ვერ მოახერხეს და მისცეს ნება იარაღით გადაეწყვიტათ დავა. საქართველოში, საზოგადო ჩვეულებისა-მებრ, როდესაც სამართალი ვერ გადასწყვეტს კეთილშობილების შუა დავას და ვერც შეარიგებს იმათ, მაშინ ერთმანეთში ბრძოლის ნებას მისცემენ ხოლმე ასპარეზზედ. მოწინაალმდეგენი იტყვიან ხოლმე ალსარებას, ეზიარებიან და ესე სასიკვდილოდ მომზადებულნი გადიან საბრძოლველად. ამას ეძახიან ღვთის სამსჯავროსადმი მიმართვას. ქართველებსა ჰგონიათ, რომ ეს პირ-და-პირ ღმერთზედ მინდობა ცოდვილის დასჯისა ძლიერ კეთილი და სამართლიანი საშუალება არისო, როდესაც კაცის სამართალი ვერ იგებს: ბრალდებული მართლა დამნაშავეა, თუ ბრალის-მდებელი ცილსა სწამებსო. სიზი და მისი მოწინააღმდეგე გავიდნენ მოედანზედ, მაგრამ ჯარის-კაცებმა გააშველეს ისინი, როდესაც მათ მიჰყვეს იარაღს ხელი. ქალი თითქმის მოკვდა სირცხვილით და ჯავრით, როდესაც ნახა, რომ მეფის ბრძანებით მისი ძმა იძულებული შეიქმნა შეჰრიგებოდა არჩილს და სიზის.

გ. ბარნოვი

(შემდეგი იქნება)

№224

ისწავლება საქმე, მერე შეიძლება თანდათან უფრო კარგისა და მაღალის ღირსებისა და თვისების ყველის კეთება დაიწყოს სკოლამა, ისეთის ყველისა, რომლის მომზადებასაც დიდი ტეხნიკური ცოდნა ეჭირვება. ახალის ყველისა და სხვა ახალის სანოვაგის გაკეთებას წყველა-დღვების დროს უნდა ცოტ-ცოტათ შეეჩვიოს სკოლა, რომ ზარალი არა ჰნახოს და ფულის მხრით საქმე არ გაუჭირდესო. სასკოლო ფერმაზე საჭიროა ყმაწვილები მიეჩვიონ კარგისა და წმინდა მატყლის მქონე თხა-მცხვარის მოვლასაცა, რადგან ასეთი თხა-მცხვრის ყოლა მეტად სასარგებლოა და ჩვენში უკვე ცდილობენ კიდეცა, რომ გაიჩინონ ასეთის მატყლის თხა-მცხვარი. ამ ჟამად კავკასიაში თითქმის 50 ათასამდე სული ცხვარი იქმნება ასეთის ჯიშისა.

ბ-ნმა ქალანთარმა თვისი მოხსენება იმითი გაათავა, რომ სთხოვა საზოგადოებას, მიეცით ამ საქმეს წველა-დღვების სკოლის გამართვისას მსვლელობაო და თვით საქმის შესრულება მიანდეთ ცალკე კომისიასაო. კრებამ საკმაოდ ხანგრძლივის კამათობის შემდეგ შეიწყნარა მთავარი აზრები ბ-ნის ქალანთარის მოხსენებისა და დაადგინა: მიემართოთ სახელმწიფო ქონებათა გამგეობას ტფილისისა, განჯისა და ერივანის გუბერნიებისას და ვსთხოვოთ გვიჩვენოს საუკეთესო ალაგი ამ გვარის სკოლისათვისაო, ხოლო მერმისს გაზაფხულზე გავგზავნოთ კომისია კარგის ადგილის ამოსარჩევადაო.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთს „Москов. Вѣд."-ს მოსვლია ამბავი, რომ ვისბადენში გერმანიის იურისტების მე-18 კრებას დაუწუნებია ნაფიცთა მსაჯულთა დაწესებულება. ვინც იცის, რა ძრიელად ებრძოდა და ებრძვის დღესაც მოსკოვის გაზეთი ნაფიცთა მსაჯულთა დაწესებულებას რუსეთში, ის ადვილად მიხვდება, რომ გაზეთისთვის სასიამოვნოა ეს ამბავი.

> უმეტესობა იურისტებისა ვისბადენის კრებაზეო, ამბობს „Моск. Вѣд."-ი, წინააღმდეგი იყო ნაფიცთა მსაჯულთა სასამართლოსიო. მერე სად მოხდა ესა და ვინ არიან მოწინააღმდეგენიო?—გერმანიაში, სადაც ამ სასამართლოებს ისეთი სასაცილო საქმეები არ ჩაუდენია, როგორიც ჩაიდინა ჩვენმა სასამართლოებმა, სადაც ეს სასამართლოები ოცი წლიწადი-კი არ არის, რაც არსებობენ და მოქმედობენ, არამედ ორმოცი და კიდევ მეტიო. მოწინააღმდეგენი არიან იურისტები, კარგად მცოდნენი თავიანთის საქმისა, კაცნი მეცნიერნი, შეკრებილნი კონგრესზედ მხოლოდ სამეცნიერო ჭეშმარიტების გამოსათქმელადაო.

თუ კი გერმანიაში ამას ამბობენ ნაფიცთა მსაჯულთა სამართალზედ, ჩვენ რაღა უნდა ვსთქვათ ამ გვარსავე სასამართლოზედ რუსეთშიო. ჩვენ რაღა ნდობა უნდა გვქონდეს ჩვენის ნაფიცის მოსამართლეებისა, რომელთაც ქუჩაში შეჰკრებენ ხოლმეო.

⁂

მეორე გაზეთი მოსკოვისა, სახელდობრ, „Рус. Вѣд."-ი სრულიად სხვა ბანაკს ეკუთვნის და თავის თავ-დაჭერილის მსჯელობის გამო, როგორც შინაგან, ისე გარეშე პოლიტიკის თაობაზედ, საუკეთესო გაზეთად ითვლება ამ ჟამად რუსეთში...

„Рус. Вѣд."-ი ამბობს, რომ

> ომზედ მყვირალთ და ომის მსურველთ ერთი გარემოება ავიწყდებათ სრულიადაო. ეჭვი არ არის, რომ ამ ომში ჩვენ გამოვალთ გამარჯვებულნი, მაგრამ რა შედეგი მოჰყვება ბოლოს მაგ ომსაო. ჩვენი მდგომარეობა შემდეგ უფრო გაძნელდება მაგ ომის წყალობით და კი არ გაადვილდებაო, როგორც ჰგონიათ მეტად გამამაცებულ პუბლიცისტებსაო. ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ, რომ ჩვენ თუ ეხლა ბოლგარიაში შევალთ იარაღით ხელში, მეგობრებათა და მოყვრებათ კი არ მიგვიღებენ, მტრებათ დაგვასახვენო; მტრად შეხვედრა კი ერთმანერთთან ერთის სისხლისა და ხორცის ერისა, ერთის სარწმუნოების აღმსაარებელისა, ბუნების წინააღმდეგი და საძრახისი საქმე იქმნებაო. განა რაღა კეთილი ნაყოფი უნდა მოიტანოს ამ გვარმა ბუნების წინააღმდეგმა და საძრახისმა საქმემაო. უფრო ადვილია ილაპარაკოს კაცმა ამ გვარს ომზედ, ვიდრე მოწმად დაესწროს და თვალით უყუროსო.

გაზეთის განზრახვა კეთილია და პატიოსანი, მაგრამ სამწუხაროდ ომის დაწყება და არ დაწყება ამ გვარს განზრახვაზედ მცირედ არის ხოლმე დამოკიდებული.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის «ივერიის» საშუალებით გულითადი მადლობა ვუძღვნა ალექსანდრე მიხეილის-ძეს ყაზიბეგს, რომლის თაოსნობითაც ქ. ბათუმში ამ თვის 5-ს იყო გამართული ჭიდაობა, საიდგანაც ჩემდამი რწმუნებულის სკოლის სასარგებლოდ შემოვიდა სამოც-და-სამი მანათი. ზნეობრივს მოვალეობად ვრაცხ განვუცხადო გულითადი მადლობა მთელს ბათუმის ქართველობასაც, რომელიც ყოველთვის მზად არის რაიმე შემწეობა აღმოუჩინოს რწმუნებულს ჩემდამი სკოლას.

ქართველთა შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელის საზოგადოების
ბათუმის სკოლის მასწავლებელი
მ. ნათაძე

ქ. ბათუმი
6 ოქტომბერს.

უცხოეთი

ბოლგარია. ბოლგარიის მთავრობამ არ მიჰხედა არავისა, რომ ასე ჩქარა არჩევნების დანიშნვა არ შეიძლებაო, და დიდის საერო კრებისთვის დღე-დღეზედ ემზადება. თუმცა კაულბარსმა გამოუცხადა, რომ თქვენს არჩევანებს კანონიერად არ ვიცნობთო, თვის-ნება მთავრობამ მაინც თავისი არ დაიშალა. მაგალითებრ, ბოლგარიის დროებითს მთავრობას ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენელთათვის უთხოვნია, რომ თქვენი კანდიდატი ბოლგარიის ტახტისა დაასახელეთო. თქმა არ უნდა, რომ ბოლგარიის მთავრობა ქვეშ-ქვეშაობს, ამას გარეგნ ამბობს, თორემ გულში კი ნამდვილად ბატტენბერგის უკანვე დაბრუნება სწადიან. გაზ. «Новости»-ს ვენიდამ ატყობინებენ, რომ, როგორც სოფიიდამ მიღებულის ცნობებიდამა სჩანს, შეიძლება დიდმა საერო კრებამ ბატტენბერგი ამოირჩიოს ბოლგარიის მთავრადაო. ბატტენბერგთან უკვე გაუგზავნიათ შიკრიკი და უშველია, შიკრიკს მანდობილი ექმნება, რომ დაწვრილებით შეატყობინოს ყველა ამბები დიდის საერო კრების გამო.

სარეგენტო მთავრობას გადაწყვეტილი აქვს თურმე, რომ ამ თვეში უეჭველად შესდგეს დიდი საერო კრება. ამისთვის არაფერსა ჰზოგავს, აღარც შიშია ამ მთავრობისთვის და აღარც რიდი. რუსეთს ახლა ოსმალეთიც შეერთებია და დღევანდელისავე დეპეშას სიტყვით, სოფიაში მისულა გადბანეფენდი და მინდობილი აქვს, რომ გარდასცეს ბოლგარიის მთავრობას: საერო კრების მოწვევა უნდა გადადებულ იქმნასო. თუმცა ეს ასეა, ამბობს დეპეშა, რეგენტები და მინისტრები მაინც ემზადებიან ტირნოვოში წასასვლელად, სადაც დიდი საერო კრება უნდა მოხდესო.

— გაზ. „Temps" შემდეგი საყურადღებო ამბავია დაბეჭდილი: თავად ბისმარკმა სთქვა ამ ერთის თვის წინად, რომ რუსეთი ბოლგარიაში ჯარებს არ ჩააყენებსო. ეს ასეც რომ არ მოხდეს და რუსეთმა თავისი სიტყვა არ შეასრულოს, ძნელად საფიქრებელია, რომ ავსტრიამ გაჰბედოს და წინააღუდგეს რუსეთის სურვილსაო. თუ ავსტრიამ გაჰბედა წინააღმდეგობის გაწევა, გერმანია მხარს არ მისცემს ავსტრიასაო. მაგრამ ამასთან ესეც არის სათქმელიო, უთქვამს ბისმარკს:—რაც უნდა ბევრს ეცადოს ავსტრიის მთავრობა და მშვიდობიანობა სურდეს, ავსტრიაში ხალხი ისეა აღელვებული, რომ სერბიას აუტეხება, ჩხუბს აუტეხსო, ეს ამბავი ინგლისსაც იძულებულს ჰყოფს გაერიოს საქმეში და ინგლისის გარევა ხომ ხმელთა-შუა ზღვის ახლო მდებარე სახელმწიფოებსაც ხელს გამოაღებინებს და საქმეში ჩარევსო. აი ამიტომ აშინებს ბისმარკს ის ამბავი, რომ რუსეთმა ჯარი არ ჩააყენოს ბოლგარიაშიო.

ეგვიპტე. გაზ. „Rèpublique Française" ამბობს: ეხლა თითქმის მთელმა ევროპამ იცის, საფრანგეთი რა აზრისაც არის ეგვიპტის საქმის გამოგო. თუ ადრე სიჩქარით შეცდომა მოუვიდა, ეხლა ძალიან სწუხს თავის შეცდომასაო და აშკარად დარწმუნდა, რომ ნილოსის ხეობას დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთისათვისა. აი საფრანგეთი საზოგადოდ ეხლა რა აზრს დაადგა ფარაონების ქვეყნის გამოგო:

1) საფრანგეთს დიდი შეცდომა მოუვიდა 1882 წ., რომ ინგლისს არ შეუერთდა და მასთან ერთად არ იმოქმედა ეგვიპტეს საქმეში. თავის მხრივ ინგლისმაც დიდად დაშავა, რომ აღთქმა არ შეასრულა და თავი არ დაანება ეგვიპტეს. ეს ორი შეცდომაა ამ ორთა დიდთა სახელმწიფოთა შორის უთანხმოების სათავე და უსიამოვნების ჩამომგდებიო, ამ ორის შეცდომის ბრალია, რომ ორმა სახელმწიფომ მეგობრობა დაივიწყეს და ერთმანერთს გადაეკიდნენო. თუ ეს შეცდომები არ გასწორდა, შეიძლება საქმე უფრო გამწვავდეს და უთანხმოება ინგლისისა და საფრანგეთისა უფრო გაძლიერდესო.

2) საფრანგეთისა და ინგლისის სახელმწიფო ინტერესები ძირითად არ განირჩევიან ერთი-ერთმანერთში, თუ ეგვიპტე განცალკევებული იქნება და არც ერთი სახელმწიფო არ შეეხება. პირ-იქით, მანამ ეგვიპტედამ ინგლისის ჯარი არ გამოვა, მანამდე ეგვიპტე იქნება ვაშლი ცილობისა ამ ორთა სახელმწიფოთა შორის.

3) მას შემდეგ, რაც სუეზის არხი გაყვანილ იქმნა, საფრანგეთის საკოლონიო პოლიტიკას სახეში არა ჰქონია ეგვიპტეს დაჭერა. საფრანგეთს არა სურს, ისე დაიჭიროს ეგვიპტე, რომ სხვა სახელმწიფოთ და მათ რიცხვში ინგლისმაც კანონიერად არ იცნოს ეს დაჭერა. ამიტომ საფრანგეთი თხოულობს, რომ ინგლისიც საფრანგეთის მაგალითს მიჰყვეს და ისე მოიქცეს, როგორც საფრანგეთი იქცევა ეგვიპტეს საქმეში.

4) რა-კი საფრანგეთმა უარი სთქვა, ეგვიპტეს აღარ დავიპყრობო, ნებას არ მისცემს არც ერთს ევროპის სახელმწიფოს, რომ ნილოსის ხეობა დაისაკუთროს. რომელი დასიც უნდა მოთავეობდეს და გამგედ იყოს საფრანგეთში, თუ ინგლისი ეგვიპტეს მიისაკუთრებს, უეჭველია, შფოთი და უთანხმოება ჩამოვარდება ამ ორთა დიდთა სახელმწიფოთა შორის. ეგვიპტე რომ ინგლისისა იყოს, არხის პატრონიც ინგლისი გახდება, საფრანგეთის აღმოსავლეთში მდებარე კოლონიების გასაღებს ხელში ჩაიგდებს და საფრანგეთსაც ის გავლენა აღარ ექმნება სირიაზედ, რომელიც აგერ მთელი საუკუნეა აქვს. დიდი სახელმწიფო მხოლოდ მაშინ შეურიგდება თავის სახელის ასე დამცირებას, თუ ხმელზედაც და ზღვაზედაც დამარცხდა.

5) საფრანგეთს არა სურს, დაისაკუთროს რამე ინგლისისა და არც თავისას დაასაკუთრებინებს ინგლისს. ეგვიპტე, როგორც სუეზის არხთან ახლო მდებარე სახელმწიფო, მთელის ევროპის ერთაშორისის მფარველობის ქვეშ უნდა იყოს.

ეს ხუთი მუხლი საპოლიტიკო წესდებისა ეგვიპტეს საქმის გამო სავალდებულოა როგორც საფრანგეთისათვის, აგრეთვე აფრიკის საკოლონიო და ორთაშუა ზღვასთან ახლო მდებარე სახელმწიფოებისათვის. «მარტო ინგლისია ამის წინააღმდეგიო—ამბობს გაზ. „République Française"—და არ ეთანხმება საფრანგეთსაო. საკვირველია, რად იქცევა ასე ინგლისიო?»

დეპეშა

8 ოქტომბერს

პეტერბურგი. საბჭოს დღევანდელს სხდომაზე წაკითხულ იქმნა ქაღალდი პეტერბურგის ქალაქის უფროსისა იმის თაობაზედ, რომ 12 ოქტომბერს დიდის ამბით უნდა აკურთხონ ხელმწიფე იმპერატორის თანადასწრებით ძეგლი დიდებისა, რომელიც აგებულია იზმაილოვის პროსპექტზედ ტროიცკის ტაძრის ახლო წარსულის ომის სახსოვრადაო. გვარდიის გარდა, კურთხევაზედ დაესწრობა შერევნილი პოლკი, რომელშიც იქნებიან 1000-მდე რუსეთის სხვადასხვა მხრიდამ მოწოდებულნი ჯარის კაცნი, წარსულს ომში მონაწილედ ყოფილნი, 1000 წმიდა გიორგის ჯვარის მქონენი და 600 აფიცერნი. საბჭომ გადასდო 12000 მან. აფიცრებისა და ჯარის კაცთა დასახვედრად და გასამასპინძლებლად.

მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა შემდეგი დროებითი წესნი: უცხოეთიდამ მოსული თუნუქა უცხოეთში ნავთის გატანისათვის საჭირო ჭურჭლის გასაკეთებლად, უბაჟოდ შეიძლება იხმარებოდეს რუსეთში, მხოლოდ იმ პირობით, თუ ტამოჟნაში წარმოდგენილი იქნება იმოდენი გირაო, რამდენიც ბაჟია გამოსართმეველი. თუ თუნუქა გირაოს დასაბრუნებლად დაწესებულს ვადამდე არ იქმნა გაგზავნილი საზღვარ გარედ ჭურჭლად და ნავთით სავსე, გირაოს მომცემს, ვადის გასვლის უმალვე, გირაოს მაგიერ მოეთხოვება ბაჟი, რომელიც მერე აღარ დაუბრუნდება უკანვე.

ჟურჟევო. ბოლგარიის მთავრობა მეტად სასტიკად იქცევა და ხორცისთვის საგრძნობლის სასჯელითაც-კი სჯის ბოლგარიაში მცხოვრებთა რუსეთის ქვეშევრდომთა. გენერალმა კაულბარსმა გამოუცხადა სარეგენტოს, რომ აგრეთს საქციელს ფრიად სამძიმო შედეგი მოჰყვებაო.

ბუქარესტი. რუსეთის მიერ დაჭერა ბოლგარიისა ჯარებით წინააღმდეგობას არ გამოიწვევს დიდთა სახელმწიფოთა-მხრივ, რადგან რუსეთი გარანტიას იძლევაო.

ჟურჟევო. დღეს 2 საათზედ წავიდა რუშჩუკიდამ ბარონი კაულბარსი და გაემართა ლომ-პალნკის გზით პირ-და-პირ სოფიისაკენაო. გადბანეფენდი მოვიდა სოფიაში და უკანასკნელი ინსტრუქცია მოიტანა თან ოსმალოს მთავრობისაგან. ოსმალეთის მთავრობა თხოულობს, რომ დიდის საერო კრების მოწოდება გადადებულ იქმნას; ბოლგარიის რეგენტები და მინისტრები-კი მაინც ემზადებიან ტირნოვოს წასვლისათვისაო. დარწმუნებით ამბობენ, რომ სადიპლომატო აგენტებ შორის იქ არავინ არ წავაო.

9 ოქტომბერი

პეტერბურგი. «Journal de S-t. Petèrsbourg»-ი ამბობს: ძნელი გასაგებია, რას უნდა მიეწეროს ფულის ფასის აწევ-დაწევა ან ბირჟა რად შიშობს ასე: ჯერ ბოლგარიაში საქმე იქამდინ არ მისულა, რომ მშვიდობიანობა დაირღვეს; ყველა სახელმწიფო იმ აზრისაა, რომ რუსეთს ყველაზედ მეტი გავლენა უნდა ჰქონდეს ბოლგარიაშიო; ამავე აზრისაა უკეთესი ნაწილი დასავლეთ ევროპის ჟურნალ-გაზეთებისა, თვით ინგლისისაცა კი. ამ სახით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ბოლგარიის გაჭირვება ადგილობრივია და ამიტომ არაფრის შიში არ უნდა გვქონდეს, რადგანაც სხვა მრავალი საგნებიც, რომელიც ბოლგარიის საქმეზეა გადაბმული, მშვიდობიანად შეიძლება გადასწყდეს. რაც შეეხება ბოლგარიის მართებლებს, ამათ თაობაზედ რუსეთის სურვილი უკვე გამოცხადებულია, და უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ მართებლები მიჰხვდებიან დროების მოთხოვნილებას. დასასრულ გაზეთი ამბობს: „ჩვენ არ ვიცით საიმპერატორო კაბინეთის განზრახვა; არ ვიცით რა საშუალებას მიჰმართავს, რომ ბოლგარიაში თავისი სიტყვა გაიყვანოს; ხოლო ვიცით კი, რომ მთავრობის ზომიერება ახალი დამამტკიცებელი საბუთია იმისი, რომ მტკიცედ ჰსურს თავისი წადილი აისრულოს, მთავრობას ისეც ბევრი ღონისძიება აქვს, რომ საქმე უთუოდ ისე გათავდეს, როგორცა ჰსურს, ამიტომ არა საჭიროება არ მოითხოვს, რომ მთავრობა შეწუხდეს და საქმეთა მსვლელობას აუჩქარდეს.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ოქტომბერი 31 დღით არის.

10 დღე პარასკევი. წმ. მოწ. ევლამპისა და დისა ევლამპიასი; ღირს. თეოფილე და სხ. კათოლ. მადლობის წირვა ხოტინის გამარჯვების სახსოვრად. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—32. ტფილისში მზე ამოდის 6—21, ჩადის 5—6; მთვარე ამოდის 12—32, ჩადის 2—7.

11 დღე შაბათი. წმ. ფილიპპე მოციქ. კათოლ. წმ. ალმს. ფრანცისკო ბორგიასი. სომეხ. წმ. მთარგმნელ გარდაპეტთა სომეხთა: მესროპისა, ელიშესი და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—24. ტფილისში მზე ამოდის 6—23, ჩადის 5—7; მთვარე ამოდის 4—4, ჩადის 3—11.

12 დღე კვირა. ღირს. კოსმან მგალობელისა. სომეხ. მე-5 კვირა ამაღლებიდგან (ქორწინების ნება ეძლევათ). გენერალი ერმოლოვი დაინიშნა მთავარ-მართებლად საქართველოში, 1816 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—17; ტფილისში მზე ამოდის 6—24, ჩადის 5—5, მთვარე ამოდის 2—51, ჩადის 3—24.

13 დღე ორშაბათი. წმ. კარპისა და ნიკიტისა. კათოლ. წმ ალმსარ. ედუარდისა. სომეხ. პოვნა წმ. ნაწილთა წმ. გრიგოლ ალვანის. კათოლიკ. წმ. თადლოსი და სხ. დაბადება მათ უმაღლესობისა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა, 1832 წ.—უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა დამატებანი 1861 წ. 19 თებერვალს გამოცემულის დებულებისა ბატონ-ყმობიდამ განთავისუფლებულ გლეხთა ყოფა-ცხოვრების თაობაზედ ტფილისის გუბერნიაში, 1865 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—10. ტფილისში მზე ამოდის 6—25, ჩადის 5—3; მთვარე ამოდის 4—2, ჩადის 4—1.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
› › 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 — . . .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ГРУЗИНСКАЯ РѢЧЬ

или начальный курсъ грузинскаго языка для русскихъ, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 35 კაპ.

იქვე ისყიდება „ქართული ქრისტომატია“ უმცროსს კლასებში სახმარებელი. მიხ. ნასიძისა. ფასი 70 კაპ.

ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას პირ-და-პირ გამომცემლისაგან, მას მანათზე 20% დაეთმობა. (10—7)

თფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ქვემოხსენებულის პირების უძრავი ქონებანი, გირაოდ მიღებულნი ბანკისა ან, დანიშნულნი არიან ბანკის § 14 თანხმად საჯაროდ გასასყიდად, ამავე ბანკის წესდებულებით დადგენილთა გადასახდელების შემოუტანელობისთვის. გაყიდვა არ მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ხვედრს გადასახდელს შემოიტანენ.

ა) სესხნი, გაცემულნი არა-ურთიერთობრივის თავდებობით.

1. ქალაქის მამულები.

გაბაშვილი, ალექსანდრე ზაქარიას ძე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით და ფლიგელით და ორ-სართულიანი მიშენებული სახლი, 160 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით; ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, მოსკოვის ქუჩაზედ.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული, 18 ქვის დუქანი, ამათში 14 ერთ სართულიანი სარდაფებით და 4 ორ-სართულიანი ბალახანით, 276 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თბილისში, ორი დუქანი მეშვიდე ნაწილში 1 განყოფილებაში, თათრის მეიდნის კუთხეში, დანარჩენი 16 დუქანი მე-14 ნაწილში მე-2 განყოფილებაში, ჩუღურეთში.

ერისთავი, ალექსანდრე პავლეს ძე, წისქვილი და სადგური 5610 ოთხ-კუთხი საჟ. მიწა, ქ. გორში.

მირიანოვისა, მარიამ იაგორის ასული, ერთი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და აბანოები 168 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, ქ. გორში.

პოლტარაცკი, ივანე ეგნატეს ძე, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ორი ორ-სართულიანი ფლიგელით და შენობით, მიწის ზომა 321⅔ ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ტფილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, ოლგას და მოსკოვის ქუჩაზე.

ამატუნი, ნაპოლეონ ივანეს ძე, 1) ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ სართულიანი, ფლიგელით თავის სარდაფით და ორ-სართულიანი სამოსამსახუროთი, და 2) ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწით ზომა 704 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისში, 1 განყოფილებაში, მე-4 ნაწ., ველიამინოვის ქუჩაზე.

ტერ-შმოვანოვი, ნიკოლოზ ივანეს ძე, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით, ყველა თავის მოწყობილობით და 87 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით; ქ. ტფილისში, 1 განყოფ. მე 6 ნაწილში, მოლნილისა და ბებუთოვის ქუჩაზე, № 21.

ერისთავისა, ილიტა დიმიტრის ასული, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ხეხილიანი ბაღი, 500 კვად. საჟ. ქ. გორს.

გოგსაძე, ეკატერინა დიმიტრის ასული, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ყოველივე მოწყობილობით და მიწა 166 ოთხ-კუთხი საჟ., 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში.

მირიმანოვი, დავითი აკობის ძე სამ-სართულიანი ქვიტკირის სახლი და ორ-სართულიანი ქვითკირის ფლიგელი, მიწის ზომა 111½ ოთხ-კუთხი საჟ. 11 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. თბილისში, ელიზავეტის ქუჩაზედ.

თამამშოვი, ალექსანდრე სოლომონის ძე, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამის წყაროთი და ყოველივე მოწყობილობით, ვენახი და ბაღი, მიწის ზომა 3 დეს. 350 ოთხ-კუთხი საჟ. მე-9 ნაწილში, ქ. თბილისის 1 განყოფილებაში, კრწანისში.

ოქროევისა, ნინო გიორგის ასული: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორ-სართულიანი ქარვასლა, მიწის ზომა 562½ ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისში, მეორე ნაწილში, 14 განყოფილებაში.

ხითაროვი, წყალობა იოსების ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი 26 ოთხ კუთხ. საჟენითა და 6 ოთხკუთ. არშინი მიწით. ტფილისში, 1 განყოფ. 5 ნაწ.

ჭერელაშვილი, გრიგოლ დავითის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ბაღითა. მიწის ზომა 4 დესიატინა. ტფილისში, ნავთლუღს, 2 განყ. 16 ნაწ.

ყალამქაროვი, გრიგოლ ნაზარეს ძე: ორი სახლი: ერთი ერთ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი ფლიგელითა. მიწის ზომა 196 ოთხ-კუთხი საჟ. და 3 არშ. ქალაქ ახალციხეს.

II. სოფლის მამულები.

სოლაღოვი, იასე ქაიხოსროს ძე, სახნავი, საძოვარი, სათიბი ადგილები და ტყე 212 დეს. 150 კვადრ. საჟ. ტფილისის გუბერნია და მაზრას, პუსტაში მონასტერს.

ჭავჭავაძე, ზაქარია გულბაათის ძე, სახნავი ადგილები და ტყე 660 დეს. 1800 კვადრ. საჟ. ტფილისის გუბერნია, თიანეთის მაზრა, სოფ. ბოტკოს.

შალიკაშვილი, იოსებ ივანეს ძე, სახნავი და სათიბი ადგილები, ზომით 270 დეს. ტფილისის გუბერნია, სიღნაღის მაზრა, სოფ. გურჯაანს.

ხიმშიევი. ნიკოლოზი, ნინო და მარიამ გიორგის ასულნი და ეკატერინე ბეჟანის ასული, სახნავი და სათიბი მიწა, ზომით 653 დესიატინა 1820 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, ამტნის-ხევში.

ნაზარბეგოვი, სოლომონ გრიგორის ძე, სახნავი, სათიბი და საძოვარი ადგილი, ზომით 548 დესეტ. 1837 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში, სოფელ ყიჩიკში.

ალექსეევ-მესხიევი, მიხეილ დიმიტრის ძე, სახნავი, სათიბი, საძოვარი ადგილი და ტყე ზომით 178 დეს. და 840 ოთხ-კუთხიანი საჟენი ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში სოფ. ახალდაბას.

ერისთავი, გიორგი გიორგის ძე, სახნავი, საძოვარი, სამოსახლო ადგილი, ვენახი და ტყე 284 დესეტ. 1263 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნ., თელავის მაზრაში, სოფ. ქისტაურში.

ქანანოვი, გიორგი ზურაბის ძე, სახნავ-სათესი, ვენახი, სახლ-კარის ადგილები შენობებით, რომელთაც 151 დეს. 300 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა უჭირავთ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრის სოფ. ბრეთში.

თულაშვილი, სოლომონ ივანეს ძე, სახნავ-სათესი, სათიბი ადგილები და ტყე 297 დეს. 2003 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ტფილისის გუბერნიაში და იმავე მაზრაში სოფ. ზირბითი, ციცოროეთი, გამოჩინებული და აუზნისი.

ბარათაშვილი, ნიკოლოზ გრიგორის ძე; სახნავი, სათიბი, საბოსტნე და საბაღე ადგილები და ტყე 858 დეს. 380 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში. სოფ. დიდ-წერახევში.

კერესელიძისა, ანასტასია გრიგოლის ასული, სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 104 დესეტინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის მაზრაში აგარაკს ბოგვში.

ამილახვრები: ზაქარია ალექსანდრეს ძე და ქეთევან ქრისტეფორეს ასული და თაზიევისა, მარიამ ალექსანდრეს ასული, სახნავი და სამოსახლო ადგილი 33 დესეტინა 320 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. გრაკალში.

მელიქოვი, ივანე ალექსანდრეს ძე, სახნავი ადგილი და ტყე, ზომით 2365 დესიატინა 364 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, და მაზრაში, გალითალა, მუხზანკა და სხვ.

ქობულაშვილები: სოლომონი, იოსები და ზაქარია ადამის ძენი, სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 823 დესეტინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში სოფ. კონდოლში.

თარხან-მოურავი, დავით იორამის ძე, სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 525 დესიატინა და 876 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელთ ახალქალაქისა და კავთისხევის მახლობლად და აგ. მანგლისში.

თარხან-მოურავი, ნიკო გიორგის ძე, სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 180 დესიატ. და 1140 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, ტფილისის მაზრაში აგ. ტბისა და ბერთვისის მახლობლად.

თოფჩიევისა (დღეს ზეინალოვისა), ხანუმა ყიზი-ხანუმა: სახნავი და საბალე ადგილები, 388 დესეტინა 250 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, ბორჩალოში, შულავერის ადმინისტრაციულს განყოფილებაში, ახალი მაღლუთმუს სა პრისტავოში.

ციციშვილისა, ხორეშან თადეოზის ასული, სახნავი მიწები და ტყე, 234 დესეტინა 1368 ოთხ-კუთხი საჟენი. თბილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფ. საგურამოში.

მელიქოვი, მიხეილ ივანეს ძე, სახნავი, სათიბი და ტყე, 1041 დესეტინა 500 ოთხ-კუთხი საჟენი:, თბილისის გუბერნიაში და მაზრაში აგ. არაბატალა, ფალიან-თაქიანი და სხვ.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის ძე, სახნავი, სათიბი, საძოვარი და ტყე, 1292 დესეტინა 1600 ოთხ-კუთხი საჟენი. თბილისის გუბერნიაში და მაზრაში აბლმუყში.

ორბელიანი, ივანე და გრიგოლ კონსტანტინეს ძენი. სახნავი, სათიბი ადგილები და ტყე 731 დესეტინა 1570 ოთხ-კუთხი საჟ ტფილ. გუბერნიაში, სოფ. ყაზილაჯიში დი სჯაში.

ციციშვილი, დავით ივანეს ძე, საძოვარი, ხეხილიანი ვენახი, შენობანი 87 დესეტინა 960 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ქვემო-ნიჩბისში.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის ძე, სახნავი, საძოვარი და სათიბი 1434 დესეტინა 1120 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში, მუსიყალაში და შიდლიარში.

მამიკონოვი, ვასილი გრიგოლის ძე, სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილები 266 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში, სოფ. თხინვალში.

ბარათოვისა, ნინო ზაალის ასული, სახნავი დი საძოვარი ადგილები 730 დეს. 2200 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში, ს. ჯანდარში.

მელიქოვი, ივანე ალექსანდრეს ძე: სახნავი, საძოვარი, სათიბი და სამოსახლო ადგილები, ბაღები, შენობები და ტყე, ზომით 1559 დესეტ. 760 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. და მაზრას, სოფ. თოხლი-კულისა, სადახლო და ქვემო ცოპსა.

ერისთავი, ესტატე მირმანოზის ძე, სახნავი და საძოვარი ადგილები 280 დესეტინა 2006 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში; ს. ახსისში.

სულხანოვი, იოსებ გაბრიელის ძე. სახნავი მიწები, ვენახი, საბოსტნე ადგილები და შენობები 148 დესეტინა 900 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში.

წერეთელი, ბაგრატ მიხეილის ძე, საძოვარი ადგილები და ტყე, 1020 დეს. 1920 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში, სოფ. ზემო-ხოდაშენთან.

გაბაშვილი, იოსებ დავითის ძე, სახნავი, საძოვარი და სამოსახლო მიწა 148 დესიატინა 1860 ოთხ-კუთხი საჟ ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში, სოფ, ოქროყანაში.

თარხან-მოურავი, ნიკოლოზ გრიგორის ძე, სახნავი, საძოვარი და საბოსტნე ადგილები და სათიბი, ზომით 233 დესეტინა და 956 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, ტფილისის მაზრაში. სოფ. ლისში.

ავ-სარქისოვი, ფარსადან იაკულის ძე, იარალოვი, სერგეი ივანეს ძე, და ფირო და მელქისედეკ ოსეფის ძენი, სათიბი და-საძოვარი 673 დესეტინა 866 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სკრაში.

იარადლოვი, სერგეი ივანეს ძე, სახნავი, სათიბი, საძოვარი და ტყე, 426 დესეტინა 1873 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. სკრაში.

შალიკოვები, კონსტანტინე როსტომის ძე, ნიკოლოზი, გიორგი, მიხეილს დიმიტრის ძენი და სალომე პანტელეიმონის ასული: სახნავი, საძოვარი, სათიბი, ხეხილიანი ვენახი, წისქვილი, შენობანი და ტყე 144 დესეტინა 2296 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. სკრაში.

ამილახვარი, ივანე და ელისაბედ თეიმურაზის ძენი: სახნავი და საბალახე ადგილები 151 დესეტინა 1756 ოთხ კუთხი საჟენი ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ნაწრეთში.

გაბაშვილი, იოსებ დავითის ძე. სახნავი და სამოსახლო ადგილები 178 დესეტინა, 2011 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში, სოფ. საგაბაშვილოში და თხინვალში.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის ძე, სახნავი, საბალახე და ტყე 1977 დესიატინა 1280 ოთხ კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში, ძველ დმანისში, საფარლო და ვართევანის სოფელში.

გედევანოვი, მერაბ იოსების ძე, სახნავი, საძოვარი და სათიბი მინდვრები 60 დეს. 110 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში აგარაკს მუხათ-გვერდში

აბაშიძე, ზურაბ დავითის ძე, სახნავი მიწა, ზომით 1000 დეს. ტფილისის მაზრაში, ბორჩალოში სოფ. ხანჯაგალას და მამჯალას.

გრიქუროვი, ზაქარია პეტრეს ძე, საძოვარი და სათიბ ადგილები, მი-